ხელშეკრულება №25

ქ.გორი 21 სექტემბერი 2016წ

ერთის მხრივ სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესის საჯარო სკოლა, (შემდგომში- შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ იზოლდა ციცაგის სახით და მეორეს მხრივ, შპს 2+1 მისი დირექტორის "კონსტანტინე ბერიძე " (შემდგომში –მიმწოდებელი) სახით , სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები,საბუღალტრო წიგნები,ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები - CPV:22800000; სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა- CPV:22900000;საოფისე მანქანა დანადგარები,აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები,კომპიუტერების პრინტერების და ავეჯის გარდა- CPV:30100000; ; კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები- CPV:30200000; პერსონალური კომპიუტერების და საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურეობა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები- CPV:50300000; ღია ბარათები,მისალოცი ბარათები-CPV:22300000;წებოები- CPV:24910000; საჩუქრები ჯილდოები- CPV:18530000

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება: 2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს : 300-00 (სამასი ლარი 00 თეთრი)ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, წესი და ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს –2016 წლის 21 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მიღება –ჩაბარების წინ განხორციელდება მოწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმება, რომელსაც შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს - მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

3.3. ყოველი შეკვეთის დასრულების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს შესაბამისი თანხის ანგარიშ-ფაქტურა , რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

-მუხლი 4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

. 4.2.შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

მუხლი 5. მხარეთა უფლება –მოვალეობანი 5.1. "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას: უზრუნველყოს დროული ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

5.2.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და მოცულობით.

მოცულობით.
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების გარდა არანაირი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა (შესაძლო პირგასამტეხლოს გარდა).

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება,შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ,მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით . იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

8.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნასთან.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან .იმ შემთხვევაში თუ მხარეები არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს.

მუხლი 10. ფორს-მაჟორული სიტუაცია

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულიად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში ,ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.
10.2.ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში არ იქნება განხილული როგორც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2.თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა ,მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა

ა) მხარეებს არა აქვთ უფლება ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე გადასცენ სხვა მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.
ბ) ხელშეკრულების შეწყვეტა ან პირობების შეცვლა შესაძლებელია მხარეების წინასწარი

წერილობითი შეთანხმების საფუძველზე,ამასთან რომელიმე მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს .

მუხლი 13. დამატებითი პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ,ორ ეგზემპლიარად და თითოეულ ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან,ხოლო მეორე შემსყიდველთან.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ დოესის საჯარო სკოლა
ს.კ.232550664
ა/ნ GE27LB0121194510650000
სს "ლიბერთი ბანკის"კასპის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
სკოლის დირექტორი: ი. ცოცაგი

"მიმწოდებელი"
შპს 2+1
ს.კ.418465529
ა/ნ GE10TB7923036020100004
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
დირექტორი: კონსტანტინე ბერიძე